საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დამოუკიდებელი გაზეთი

ONLINE
599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru

რუსთავი

გაზეთი
გამოდის
1948 წლიდან

31
მაისი 2024 წ.
№3
(109755)
ფასი 50 თეთრი

დამოუკიდებლობის დღე რუსთავში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა

გვ.-2

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე რუსთავში საზეიმო მსვლელობით აღნიშნა

გვ.-3

გვ.-4

რუსთაველი გიორგი სარდალაშვილი
მსოფლიო ჩემპიონია

„თუთარჩელას“ ახალგაზრდულმა გუნდმა გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე რუსთავი კიდევ ერთხელ ასახელა

გვ.-3

კონფერენცია გამარჯვებული სტუდენტებით

გვ.-4

სიახლე კოლეჯ „არსში“

გვ.-7

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

ერთად ვიზეიმოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

დამოუკიდებლობის დღე რუსთავში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 106-ე წლისთავი რუსთავში მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიცირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსთავის მერიის ორგანიზებით, წლევანდელი 26 მაისი რუსთავში ღონისძიებების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

უკვე მეორე წელია, რუსთაველები მთავარ სახელმწიფო დღესასწაულს დამოუკიდებლობის სკვერში აღნიშნავენ. სწორედ აქ გაიმართა 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები წელსაც.

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ყველას გვაერთიანებს, 26 მაისი საამაყოა თითოეული ქართველისთვის და საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის. ჩვენ ვერთიანდებით ჩვენს ქალაქებში და მთელი ქვეყნის მასშტაბით იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ, ერთად აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის 106-ე წელს აღვნიშნავთ წელს, ამისთვის დილიდან ემზადება მთელი საქართველო და რა თქმა უნდა, რუსთავშიც გვაქვს სამზადისი. დღეს აქ მოსულ სტუმრებს და რუსთაველებს დახვდებათ სასიამოვნო და საინტერესო გარემო. აბსოლუტურად ყველა ასაკის ადამიანისთვის იქნება აქ საინტერესო სივრცეები, განსაკუთრებით რაც პატარებს ახარებთ, გმირთა მემორიალთან არის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკა გამოფენილი. დღეს აქ ჩვენი ქალაქის ისტორია იქნება წარმოდგენილი, ის, რაც რუსთაველებისთვის საამაყოა. ველოდებით ყველას, ერთად აღვნიშნოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე“, - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

გმირთა მემორიალთან დილიდან გამოიფინა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკა, ტერიტორიაზე განთავსდა საქართველოს და რუსთავის ისტორიის ამსახველი პავილიონები, გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. 14 საათიდან 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები კოსტიუმირებული მსვლელობით გაიხსნა.

„დამოუკიდებლობის დღე საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში არის ძალიან გამორჩეული თარიღი. გამორჩეულად აღინიშნება დღევანდელი დღე რუსთავში, ისევე როგორც მთელს საქართველოში. ღონისძიებები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიცირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსთავის მერიის ორგანიზებით 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იმართება გმირთა მემორიალსა და დამოუკიდებლობის სკვერის მიმდებარე ტერიტორიებზე. ტრადიციულად აქ წელსაც წარმოდგენილია საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკა, ასევე აქ მოსულ რუსთაველებსა და ქალაქის სტუმრებს მთელი დღის განმავლობაში დახვდებათ საინტერესო ღონისძიებები და საღამოს დაასრულებს საზეიმო კონცერტები. ზუსტად 17:10 საათზე ისტორიულ დროს სცენაზე შესრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი“, - განაცხადა რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ირაკლი შატაკიშვილმა.

მთელი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობის სკვერი სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობებით დაიტვირთა. ღონისძიებების ფარგლებში, მოეწყო თემატური საგამოფენო სივრცეები, რომლებიც რუსთავის ისტორიასა და თანამედროვეობის მნიშვნელოვან მოვლენებს, საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებლის, აკაკი ჩხენკელის 150 წლის იუბილესა და ქართული დიპლომატიის ისტორიას მიეძღვნა. ცალკე საგამოფენო სივრცე - „საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა“ კი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიას ასახავს.

გაიმართა ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი, მათ შორის ცნობილ და პოპულარულ ანსამბლ „თუთარჩელას“ მონაწილეობით. 20 საათიდან სცენა დაიკავა დრამერების ჯგუფმა „არტ ლაიფმა” და ბენდმა „გუფი ლენდმა“.

რუსთავის მოსახლეობასა და ქალაქის სტუმრებს ეროვნული დღესასწაული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ და ქალაქის მერმა ნინო ლაცაბიძემ მიულოცეს.

ნინო ლაცაბიძე:

ჩემთვის დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, რადგან ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდ ღირებულებებს ეხება!

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე რუსთავში საზეიმო მსვლელობით აღნიშნეს

ღონისძიება რუსთავის ეპარქიისა და საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების რუსთავის სადროშოს ორგანიზებით გაიმართა.

ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით გამართულ მსვლელობაში, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ოჯახთან ერთად, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრებმა, ჩოხოსნებმა, სასულიერო პირებმა, რუსთავში მოქმედი ტაძრების მრევლმა, მგალობლებმა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა და ახალგაზრდებმა მიიღეს.

მსვლელობაში მონაწილეობის მსურველები კოსტავას გამზირზე და გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ, სადაც სასულიერო პირებმა ღვთისმშობლის სადიდებელი პარაკლისი გადაიხადეს.

რუსთავიდან მსვლელობის მონაწილეები თბილისში, ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისკენ გაემართნენ და წმინდა სამების ტაძრისკენ დაგეგმილ ლოცვით მსვლელობას შეუერთდნენ.

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეს, რუსთავში მეათე წელია მსვლელობით აღნიშნავენ.

17 მაისს, ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით აღინიშნება.

რუსთაველის ქუჩაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ახალი შენობა შენდება

რუსთავში, ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და ახალგაზრდების არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

გასული საუკუნის 60-იან წლებში აშენებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ადგილზე, ძველი შენობის ავთენტური იერსახის, 600 კვადრატული მეტრი ფართობის სამსართულინი ახალი შენობა შენდება.

პროექტის მიმდინარეობას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ ზურაბ ტაბაღუასთან ერთად ადგილზე გაეცნო.

ახალი სასახლის შინაარსობრივ კონცეფციაზე უკვე მუშაობს რუსთავის მერიის სერვისების და რეფორმების ჯგუფი. ტრადიციულ სასწავლო დისციპლინებს, რაც მოსწავლე-ახალგაზრდობის ძველ სასახლეში ისწავლებოდა, ახალი მიმართულებები დაემატება და რუსთაველ ახალგაზრდებს მათ ინტერესებზე მორგებული კიდევ ერთი საგანმანათლებლო ცენტრი ექნებათ.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობაში მოეწყობა მეტალოპლასტმასის ფანჯრები და ვიტრაჟები, სასმელი წყლის, გათბობისა და ელექტროგაყვანილობის ქსელი, ჩატარდება შიდა ინტერიერის სარემონტო სამუშაოები. შენობის ფასადზე დამონტაჟდება დეკორატიული განათება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მშენებლობის პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

რუსთაველი გიორგი სარდალაშვილი

მსოფლიო ჩემპიონია

აბუ-დაბიში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ საშეჯიბრო დღეს გიორგი სარდალაშვილმა საქართველოს სახელით ოქროს მედალი მოიპოვა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

რუსთაველმა ძიუდოისტმა მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ ტურან ბაირამოვს აჯობა, ნახევარფინალში იაპონელ ნაკამურას სძლია, ფინალში კი იანგი დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

საქართველოს ისტორიაში გიორგი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ძიუდოისტი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„თუთარჩელას" ახალგაზრდულმა გუნდმა გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე რუსთავი კიდევ ერთხელ ასახელა

გრან პრი, 2 ოქრო, 3 ვერცხლი, საუკეთესო რეპერტუარი და საუკეთესო სოლისტი -ასეთი შედეგით დაბრუნდა ანსამბლი გერმანიიდან, სადაც საგუნდო მუსიკის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

საგუნდო მუსიკის ფესტივალი „ჰარმონია" ქალაქ ლიმბურგში გაიმართა და მასში სხვადასხვა ქვეყნის 150 გუნდი მონაწილეობდა.

ახალგაზრდა მომღერლებს და მათ ხელმძღვანელს, თამარ ბუაძეს, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე მოადგილესთან და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად შეხვდა და საერთაშორისო კონკურსში მიღწეული წარმატება მიულოცა.

კონფერენცია გამარჯვებული სტუდენტებით

ტრადიციულად, მაღალაკადემიურ დონეზე, სასწავლებლის ღირსებისა და მაღალი პედაგოგიური პროფესიონალიზმის დაცვით წარიმართა რუსთავის აკადემიურ ქალაქში სტუდენტთა 31-ე სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ამ საგანმანათლებლო მინიქალაქის თავკაცი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი აკადემიკოსი გარი ჩაფიძე უძღვებოდა.

სამდღიანი ძალზედ შთამბეჭდავი კონფერენცია სასწავლებლის სხვადასხვა საკონფერენციო დარბაზებიდან საგანგებოდ ერთერთში -ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის მრგვალ სამეცნიერო დარბაზში წარიმართა, რომლის ატრიბუტიკა ინვენტარით დაწყებული, ესთეტიური კედლებით, დამთავრებული ქართული ანბანის თვალსაჩინოებით, ნამდვილ შემეცნებით-საგანმანათლებლო გარემოს წარმოადგენს იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც აქ ყოველწლიურად მოდიან სასწავლებლად და თავი მოსწონთ საკუთარი არჩევანით. მათ უყვართ სასწავლებლის ხელმძღვანელები, პედაგოგები, აქაური თავისუფალი და დემოკრატიული გარემო, დეკორატიული ეზო, დაწკრიალებული აუდიტორიები და რაღა თქმა უნდა, ლექციები, რომლებიც მკაცრი გრაფიკით ტარდება.

კონფერენცია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ გახსნა. იგი გულთბილად მიესალმა სტუდენტებს, გამარჯვება უსურვა საკონფერეციო თემების წარმოდგენით და ისიც აღნიშნა, რომ ასეთ სასწავლო ღონისძიებას დამარცხებული არავინ ჰყავს, მაგრამ უკეთესზე უკეთესი საჩუქრად მიიღებს უფლებას, ერთი კვირით ესტუმროს ბელგიას, დაათვალიეროს საპარლამენტო ქალაქი სტრასბურგი, შეხვდეს ევროპარლამენტარებს და სხვა. დაფინანსებას ასეთი გამარჯვებული სტუდენტისათვის, თვით აკადემიური ქალაქი გამოყოფს. იდეის ერთერთი ავტორი, ქალბატონი ანა ბალამწარაშვილია, რომელიც ევროპარლამენტის თანამშრომელია, ამჯერად აკადემიური ქალაქის სამეცნიერო კონფერენციას სტუმრობდა და თავისი მოსაზრებების გამოთქმით დააინტერესა სტუდენტები. ქალბატონ ანას მიმართ ახალგაზრდებმა ერთსულოვნად გამოხატეს მოწონება და ინტერესი.

შეკრებილ აუდიტორიასთან სამეცნიერო თემებით წარსდგნენ შემდეგი ფაკულტეტის სტუდენტები: ფარმაცევტის თანაშემწეები, ექთნის თანაშემწეები, დაცვა-პატრულირების დარგის სტუდენტები და ბანკის ოპერატორები.

თემათა მრავალფეროვნებამ და მრავალრიცხოვნებამ ნამდვილად დააინტერესა პედაგოგ-ლექტორთა აუდიტორია, კერძოდ: გენრიეტა აბესაძე, ნინო კაკიაშვილი, თინათინ ხაბურზანია, ეთერ ჭიპაშვილი, ნინო ცუცქირიძე, მანანა ჩხეიძე, ზურაბ ქსოვრელი, ზეინაბ ლამაზოშვილი, ეკა პაპუნაშვილი...

სწორედ ამ ლექტორთა ხელმძღვანელობით დაამუშავეს სუტდენტებმა: ჰაჯარ კასუმოვამ, ნარმინა კურბანოვამ, ლიზი მეტრეველმა, ვერონიკა კვიჟინაძემ, ალვინა კასუმოვამ, ელვინა კურბანოვამ, თინათინ ტუხაშვილმა, საკინა კასუმოვამ, სამირა ხალაფოვამ, აიშან ბუდაგოვამ, რუგაია აგაევამ, ალვინა ალიევამ, სალიალი გარიაგდიევამ, აიდა აბდულაევამ, სამიდა ნასრულაევამ, გულნაზ ახმედოვამ, სელინ ნასიბოვამ, მინაია სადიკოვამ, ზაბიდა გასანოვამ, ფეირუზ გაჯიევამ, რავან კასუმოვმა, ფიდან ისმაილოვამ, მაია კარაევამ, ელთუნ ისმაილოვმა, ნარმინა ახმედოვამ, სარა შხამიროვამ, ტურკან სადიკოვამ, აითან ახმედოვამ, მარიამ გობეჯიშვილმა, აიშა ალიევამ, ისახან იბრაგიმოვმა, სოლმაზ მამედოვამ, ემილია იმანოვამ, სონა თეიმუროვამ, მარიამ გოჩოლეიშვილმა და სხვებმა. სადღეისოდ აქტუალური თემები: «ორგანოთა ტრანსპლანტაცია», «ვიტამინები და მინერალები», «გირავნობა», «დანაშაულში თანამონაწილეობა», «მიკროეკონომიკის არსი», «პოლიტიკური მეცნიერება», «გალაკტიონის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები» და სხვა.

ფრიად მაღალ დონეზე მომზადებული სტუდენტების ჯგუფი ყურადღებას იქცევდა ჩაცმის ესთეტიური, კლასიკური სტილით და აუდიტორიასთან ორატორული მანერებით. მოსმენის მაღალი კულტურით, თავაზიანობითა და მადლიერებით უფროსების მიმართ.

ამჟამად საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში 250-ზე მეტი სტუდენტია, ქართველები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და სხვა ეროვნების ახალგაზრდებიც, მათ ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობები აქვთ. ქართველი სტუდენტები არაქართველ მეგობრებს მუდმივად ეხმარებიან ენობრივი ბარიერის დაძლევაში, საგამოცდო საგნების მომზადებისას.

- ჩვენთან სტუდენტთა ერთი დიდი ოჯახია, სადაც სხვადასხვა სკოლებიდან მოსული მოსწავლეები საუკეთესო ურთიერთობებს ამყარებენ. მათ ყველაზე მეტად მოსწონთ ის, რომ ერთდროულად სკოლაშიც დადიან, დიახ, ნუ გაუკვირდება მკითხველს, საგანმანათლებლო ქალაქის ხელმძღვანელმა, ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნო სწავლა კოლეჯში 14:00 საათის მერე იწყება, რაც საშუალებას აძლევს ზოგად საგანმანათლებლო, თუ კერძო სკოლის მოსწავლეს, კოლეჯშიც ისწავლოს და სკოლაშიც. კოლეჯში აღებული დიპლომით მუშაობა დაიწყოს სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, გვიამბობს განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქეთევან ცისკარაშვილი და სიამაყით იმასაც დასძენს, რომ აკადემიურ ქალაქში არსებული არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულნი დღეს რუსთავის აფთიაქებში, საავადმყოფოებში, ბანკებში, პოლიციაში მუშაობენ...

კოლეჯში ჩატარებულმა სამეცნიერო კონფერენციამ ბევრი გამარჯვებული გამოავლინა, მაგრამ როგორც ბატონმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა, ასეთ შემთხვევაში დამარცხებული არავინაა. თითოეულმა სტუდენტმა თავის ბიოგრაფიაში ერთი ისეთი ახალი ფურცელი ჩაწერა სამეცნიერო შრომით, რომელიც ავტორს სამუშაო პროცესში ყოველთვის დაეხმარება.

და მაინც, ცალკე უნდა ითქვას, აზერბაიჯანელი ქალბატონის, საკინა კასუმოვას შესახებ, რომელიც ამ სასწავლებელში ერთი წელია სწავლობს, იგი ოთხი შვილის დედაა, პატარა 2 თვისა ყავს და უხარია, რომ სულ ჩქარა ამ კოლეჯიდან აღებული დიპლომით მუშაობას დაიწყებს. იგი ერთერთი საუკეთესო მომზადებული სამცენიერო თემით წარსდგა აუდიტორიის წინაშე.

ასეთი სამეცნიერო კონფერენციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებულ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ყველა სასწავლო ცენტრში ჩატარდა, რისი ორგანიზებაც ცენტრიდან რუსთავის აკადემიური ქალაქის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო წინასწარ შედგენილი პროტოკოლის მიხედვით, შემდგომ ეტაპზე გამარჯვებულები სწორედ რუსთავში, დასკვნით სამეცნიერო ღონისძიებაზე მოიყრიან თავს და კიდევ ერთხელ გამოვლინდებიან ის წარმატებულნი, რომლებიც ამ ზაფხულს ბელგიას ესტუმრებიან...

ერთი რამ ცხადია, ასეთი საშუალო ტიპის პროფილურ სასწავლებლებში სწავლის მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს, ბევრი ახალგაზრდა ჩვენს ქალაქში თუ ქვემო ქართლის რეგიონში მიხვდა, რომ აქ აღებული დიპლომით უქმად არ იქნება, იმუშავებს, ხელფასს აიღებს და პიროვნული ღირსებებიც გაუასკეცდება.

სულაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ აკადემიურ ქალაქში ყოველდღიურად არამხოლოდ ჩვენი ქალაქის ახალგაზრდები, არამედ სხვა რეგიონის ახალგაზრდებიც სტუმრობენ და არამარტო თვითმფრინავის დასათვალიერებლად. მათ მართლაც აოცებთ 17 კორპუსიანი, კეთილმოწყობილი, ყვავილნარით დამშვენებული მინი-ქალაქის ხილვა და უჩნდებათ აქ სწავლის სურვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა ტელეკომპანია "ახალის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ქეთევან მიქაძე, მან მოვლენა და ფაქტი კადრებში მოაქცია და სპეციალური სატელევიზიო სიუჟეტი უძღვნა აკადემიურ ქალაქში ჩატარებულ ამ ღონისძიებას.

ლია მარტაშვილი

P.S. *გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. თბილისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრიდან სტუდენტთა 31 -ე სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულის ვინაობა გვაცნობეს, ის პირველკურსელია -საბა იაძე, ხოლო ქ. ტყიბულის სასწავლო ცენტრში მოწინავეთა შორის მოწინავენი აღმოჩნდნენ შემდეგი სტუდენტები: ნათია არაბიძე, ზურაბ კოროშინაძე, თეონა სახელაშვილი, სოფიო წიქარიძე, ნანა ჭელიშვილი, ნინო გოგსაძე, მარიამ სამხარაძე და სხვები...*

სტუდენტთა 31-ე სამეცნიერო კონფერენციაქ. ოზურგეთის, ქ. ქუთაისის, ქ. თერჯოლის, ქ. დმანისის, ქ. გურჯაანის, ქ. საგარეჯოს, ქ.თელავის, ქ. ლაგოდეხის და სხვა ადმინისტრაციული ერთეულის სასწავლო ცენტრებში გრძელდება...

სტუდენტთა 32-ე სამეცნიერო კონფერენცია რუსთავის აკადემიურ ქალაქში მ/წლის ივნისის თვეში გაიმართება..

ლია მარტაშვილი

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

(გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში

მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). დევნილებს მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.

ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-სს), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ომის მონაწილეების, 0-18 წლის ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვებისა და მოზარდების (სარეიტინგო ქულა 70 001 დან-150 000 ჩათვლით) მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება და დიაბეტით დაავადებული 0-18 წლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდების სახელმწიფო პროგრამის ზევით გლუკომეტრების შესაბამისი ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა.

აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული აუტიზმის მქონე ბავშვების (შემდგომში – ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, მოტორული, სოციალური განვითარების და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0-F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის მქონე ბავშვები, ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გათვალისწინებულია თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად. თვეში 20 საათის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს სეანსების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 12 სეანსი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია სეანსის ჩატარება ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ სეანსების რაოდენობა განაწილდეს შემდეგ თვეებზე. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა. ასევე, თუ პროგრამით მოსარგებლე პირის მშობელს აქვს 2-წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ), ხოლო პროგრამით მოსარგებლე პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. გამონაკლისი ვრცელდება პირებზეც, რომლებიც იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და უფიქსირდებათ აქტიური რეგისტრაცია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (შემდგომში ბენეფიციარი) საზოგადოების ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიას განეკუთვნება გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის (ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები – R62, G80, Q90) მქონე ბავშვები (შემდგომში ბენეფიციარი). R62-ის შემთხვევაში ასაკი განისაზღვრება 0 დან 15 წლამდე, ხოლო G80 და Q90-ის შემთხვევაში 0-დან 18 წლამდე. ბენეფიციარი, რომელსაც დადგენილი აქვს ICD 10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი-ღ62 დაფინანსდება წლიურად არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით (თვეში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს არაუმეტეს 189.00 ლარს), ხოლო ბენეფიციარი, რომელსაც დადგენილი აქვს ICD 10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი-G80, Q90 დაფინანსდება წლიურად არაუმეტეს 1000.00 ლარის ოდენობით.

ღ62-ის შემთხვევაში, ბენეფიციარი არ უნდა იყოს ჩართული ,,ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის" ან ,,ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის" სახელმწიფო პროგრამებში. აღნიშნული პროგრამებით სარგებლობის შემთხვევაში(სსიპ ,,სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით) ბენეფიციარს მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან უწყდება ქვეპროგრამით დაფინანსება.

G80 დ Q90-ის შემთხვევაში, პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურებას. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.

დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა

აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამა-

(გაგრძელება მე-6)

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე)

ში ჩართული მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. მოსარგებლე შეიძლება იყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებს გარეთ).

გამონაკლისი ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ელექტრონულ მონაცემთა ბოლო თვის ბაზის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით.

მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება

პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ქვეპროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების სადილით უზრუნველყოფა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ოთხ ლოკაციაზე არსებული უფასო სასადილოების ქსელის საშუალებით. უფასო სასადილოების მენიუს შემადგენლობას/არსებული შემადგენლობის განახლებას უზრუნველყოფს სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი, ნუტრიციოლოგის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე.

სარიტუალო მომსახურებები

პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრების, ქალაქ რუსთავში აღმოჩენილ არაიდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებად პირთა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე და მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახი/ები-ს წევრთა (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს) სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვას.

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დასაფარად გამოიყოფა გარდაცვლილზე 300,00 ლარი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მიზნობრივი ტრანსფერი.

იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი მიცვალებულების სარიტუალო (დაკრძალვის)ხარჯების დასაფარად, გამოიყოფა გარდაცვლილზე 200,00 ლარი, ხოლო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს) ოჯახის წევრთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯებისთვის გარდაცვლილზე 400,00 ლარი.

შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, ასევე მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება.

სოციალურად დაუცველ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

ვეტერანთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ სსიპ – ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში რეგისტრირებული და შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ვეტერანის მოწმობის (სტატუსის) ან/და მათთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირები, რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრო-

(დასასრული მე-8 გვ.)

სიახლე კოლეჯ „არსში“

ჩვენთვის მთავარია ზრუნვა ახალგაზრდების პროფესიულ განათლებასა და ამ გზით რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, – **ამბობს კოლეჯ „არსის“ დირექტორი ნათია ნოზაძე.**

ქალბატონი ნათია გაზეთ „რუსთავის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია.

– კოლეჯი „არსი“ რეგიონში საკმაოდ პრესტიჟული პროფესიული განათლების კოლეჯია. მაინც რა განაპირობებს ასეთ პრესტიჟულობას?

– უპირველესად, რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხი; მაღალკვალიფიციური პედაგოგები, გუნდური მუშაობა; მუდმივი ზრუნვა იმისათვის, რომ საინტერესო იყოს სტუდენტური ცხოვრება და საქმიანობა; პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა; ჩვენი პარტნიორები კი არიან შრომის ბაზრის ლიდერი ორგანიზაციების წარმომადგენლები ჯანდაცვისა და ბიზნესის სფეროში; კიდევ ის, რომ ჩვენ არ ვწყვეტთ ურთიერთობას კოლეჯის კურსდამთავრებულებთან, არა მარტო საჭირო რჩევების სახით, მათ პროფესიებში უფრო დაოსტატებასა და მომავალზე ზრუნვის თვალსაზრისითაც; რაც მთავარია, სწავლების პროცესში სიახლეების ძიება და დანერგვა; სტუდენტთა უნარ-შესაძლებლობების გამოვლენა და მათი მიზან-დასახულობის მხარდაჭერა...

– სიახლეების ძიება და დანერგვა ახსენეთ. როცა თქვენს კოლეჯში მოვდიოდი, ვიცოდი, რომ „არსში“ ძალიან საინტერესო სიახლის მოწმე და მონაწილე გავხდებოდი. ამჯერადაც ძალიან გამიმართლა...

– კოლეჯი „არსი“ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის სასწავლებელია. ყოველთვის ვცდილობთ, რომ მისი საქმიანობა მხოლოდ სასწავლო პროცესით არ შემოიფარგლებოდეს. ჩვენი საზრუნავია, ახალგაზრდებმა, პროფესიის ათვისებასთან ერთად, განივითარონ სამეწარმეო უნარები. ამ მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი: „ახალგაზრდების, განსაკუთრებით – ქალთა სამეწარმეო უნარების განვითარება და პროფესია, როგორც ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი“. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ სამეწარმეო უნარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ისეთი თემის ახალგაზრდებისათვის, სადაც ქალთა დამოუკიდებელი სამეწარმეო მიმართულებით აქტიურობა ჯერ კიდევ მისაღწევია.

სწორედ ამიტომ შევარჩიეთ გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლა. პროექტის განხორციელებაში მხარი დაგვიჭირეს გარდაბნის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა ირინა ქირიამ და ყარაჯალის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სელინჯ ალიევმა.

– კონკრეტულად რა იყო პროექტის ამოცანა?

– პროექტი დაიწყო 2024 წლის აპრილში და მოიცავდა ხუთკვირიან ვადას. პროექტის მთავარ ამოცანად გაიწერა: ახალგაზრდებში სამეწარმეო უნარების განვითარება; სამეწარმეო ეკოსისტემის გაძლიერებით და პროფესიული სწავლებით ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება; მოსწავლ-ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; ეთნიკურ თემში ქალთა ეკონომიკური გაძლიერება; რაც მთავარია, რეგიონის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა პროფესული განათლების სფეროში.

– როგორი იყო ეს პროცესი?

– პროექტი განხორციელდა სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე მოსწავლეებს ზოგადად გაეცნო სამეწარმეო სწავლების სპეციფიკა. გამოვლინდა მათი ინტერესი ბიზნეს-იდეებთან დაკავშირებით. დავეხმარეთ, რომ მათ იდეებს პროექტის სახე ჰქონოდა. მეორე ეტაპი გულისხმობდა კარიერულ და პროფორიენტაციულ მიმართულებას. პროექტის მონაწილეებს ავუხსენით, თუ რა შესაძლებლობებს აძლევს მათ პროფესიული განათლება. მესამე ეტაპზე პროექტის მონაწილეებთან ერთად მოხდა მათ მიერ შექმნილი პროექტების განხილვა და იმის კვლავ განმარტება, თუ რა შესაძლებლობებს აძლევს მათ ეს პროექტები.

ყარაჯალის სკოლაში ამ პროექტის განხორციელებას ხელმძღვანელობდა ჩვენი კოლეჯის კარიერის მართვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტი შორენა მამალაშვილი.

– პროექტი განხორციელდა. როგორია პირველი შედეგი?

– პროექტი წარმატებით განხორციელდა. პირველივე შედეგი შთამბეჭდავია. მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ბიზნეს-იდეების გენერირების საკითხში და რაც მეტად გასახარია, იაქტიურეს გოგონებმაც. დაისახა საინტერესო პროექტები: შოკოლადის, ავტონაწილების, ყვავილების, ფეხსაცმელების, წიგნების მაღაზიების, დიზაინის სატრენინგო სკოლის, სილამაზის სალონის, სპორტული კომპლექსის, კლინიკის გახსნა.

ამ პროექტებში მონაწილეობით მოსწავლეებმა გაიფართოვეს თვალსაწიერი, დაფიქრდნენ საკუთარ შესაძლებლობებზე და შრომის ბაზრის აქტიურ წევრობაზე, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურად ქმედით მოქალაქეებად მათ ჩამოყალიბებას. ჩვენ ვაგრძელებთ მათთან ურთიერთობას და მზად ვართ ვუმასპინძლოთ ჩვენთან, კოლეჯში და დავეხმაროთ ბიზნეს-იდეების დახვეწაში.

– ამ სიკეთესთან ერთად, თქვენ ყარაჯალელ მოსწავლეებს, პროექტის მონაწილეებს, ძალიან ლამაზი, დასამახსოვრებელი დღეც აჩუქეთ კოლეჯში მოწვევით. საზეიმოდ დააჯილდოვეთ პროექტის ყველა მონაწილე. იმ დაჯილდოების ცერემონიალმა პირადად ჩემზეც, როგორც დამსწრეზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ამ ფაქტშიც აისახა ზრუნვა მათ მომავალზე.

– პროექტში ყარაჯალის სკოლის 26 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. აი, ისინიც: პროექტის გამარჯვებული მალვინა კარამზადე, ასევე, შარმინ გაჯიევა, ნურჯან მეხტიევა, ნარმინ გაჯიევა, ესმა სოფიევა, ულვინ სულეიმანოვი, გულნარა ნურიევა, ჰავახანუმ სოფიევა, ჟალე საფაროვა, როია გუჯაევა, ნაზან ნამაზოვი, ელიქ მეხტიევა, გულნარა მეხტიევა, სენელა ნურიევა, აისუნ ნურიევა, მესუდ სოფიევი, მალეიკა გარიბოვა, ემილია საფაროვა, მუსტაფა ახმედოვი, ოზან ისმაილოვი, ფალიზ ისაევა, ჩიმნაზ მეხტიევა, მალვინა მამედოვა, მახმად ბადიშოვი, ალიფაშა გაჯიევი.

– და ეს ყველაფერი როდია. პროექტის მონაწილეებს მომავალ ბიზნეს-საქმიანობაში, სათანადო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, ალბათ, კვლავაც დასჭირდებათ ქმედითი დახმარება...

– რა თქმა უნდა, ეს ასე იქნება. საპატიო სტუმრებმა: საქართველოს მეწარმე ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია მეფარიშვილმა, გარდაბნის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა ირინა ქირიამ, ყარაჯალის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ლია მუკბანიანმა, განათლების ხარისხის ექსპერტ-კონსულტანტმა თეა ცომაიამ პროქტის მონაწილეებს სიგელები და ფასანი საჩუქრები რომ გადასცეს, ამასთან, სამომავლოდ, პროექტების განხორციელებაში ქმედითი დახმარებაც აღუთქვეს.

– პროქტის მონაწილეებმა საჩუქრები საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკიდანაც დაიმსახურეს...

– პროექტის მონაწილეებს საჩუქრად წიგნები გადასცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა, რამაც მოსწავლეები დიდად დააინტერესა.

– ქალბატონო ნათია, დავუბრუნდეთ უშუალოდ კოლეჯს. როგორი იქნება ახალი სასწავლო წელი არსელებისათვის, კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდოთ და საერთოდ, როგორი გესახებათ „არსის“ მომავალი?

– ახალი სასწავლო წლისთვის ვაპირებთ და ამისათვის აქედანვე ვემზადებით, რათა გავზარდოთ სტუდენტური კორპუსი, იმის გათვალისწინებით, რომ მაღალია მომართვიანობა ჩვენს პროგრამებზე, არა მარტო რუსთავის მოსახლეობის, არამედ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მხრიდანაც. ყოველივე ეს კოლეჯ „არსს“ ავალდებულებს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩავრთოთ პროფესიულ განათლებაში. კოლეჯში კვლავაც დავნერგავთ ყველა სიახლეს, რაც ამ მიზნის განხორციელებაში დაგვეხმარება.

– წარმატებებს გისურვებთ. მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

თინათინ სიყმაშვილი

ისინი ჯერ მხოლოდ სამნი არიან...

ანუ როცა მოძალებულ წლებს არ უშინდებიან

ომარ არობელიძე



გივი ჯახუა



გოგი ბეგაძე

დავბერდი? არა, დღესაც ჩემს ლექსებს დაჰკრავს სურნელი საუკეთესოო, ბრძანებს პოეტი. პოეტის ეს სიტყვები სხვასაც, ბევრს შეუძლია, სიამაყით განაცხადოს, მათ, ვინც არ ემორჩილება, არ უშინდება წლებს და ყველაფერ იმას, რაც წლებს მოაქვს. ასე ფიქრობს და ფიქრის კვალდაკვალ ცხოვრობს და კიდევაც ირჯება სამი წლებმოძალებული რუსთაველი კაცი, რომლებიც ყოველ დილასისხამზე, მაშინ, როცა მათ ასაკისანთ და ახალგაზრდებსაც, ტკბილად სძინავთ, ან ლოგინში ნებივრობენ, ის სამი რუსთაველი კაცი კი სვენებ-სვენებით, ზოგჯერ ხელჯოხის დახმარებითაც, მიუყვება იაღლუჯის ფერდობს. აივლიან, აიმაღლებენ, გაიკაკებენ და იქიდან ამაყად გადმოხედავენ რუსთავ-ქალაქს. ამაყად იმიტომ, რომ რუსთავი მათ თვალწინ და მათი შრომითი მონაწილეობით აშენდა და დღესაც მათ თვალწინ, კვლავ, უკვე მერამდენედ, მშვენდება.

ისინი იხსენებენ გასახსენებელს და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ სათქმელს. გასახსენებელი და სათქმელი კი თითოეულ მათგანს რამდენი აქვს ერთმანეთისთვის, თავიანთი შვილების, შვილიშვილებისა და ნაცნობებისათვის. რუსთაველები, ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც, კარგად იცნობენ თითოეულ მათგანს. მაინც, ვინ არიან ისინი?

გივი ჯახუა – განათლებით ისტორიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, პროფესიით ჟურნალისტი, მოწოდებით მწერალი, თერთმეტი მხატვრული წიგნისა და ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის ავტორი, რედაქტორი, გამომცემელი. იყო გაზეთების – „მეტალურგის“, „ლიტერატურული ქვემო ქართლის“, „სამშვილდეს“ რედაქტორი, რომელთა პუბლიკაციები აქტუალური თემებით გამოირჩეოდა და მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. თავის დროზე რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, ეროვნული სულისკვეთების, პატრიოტი კაცი.

ბევრი აქვს გასახსენებელი და მოსაყოლი **ომარ არობელიძეს. 86** წელი მას შრომასა და სწავლაში წამოეწია. მცირე ამონარიდი მისი ავტობიოგრაფიიდან: უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი. იყო ამიერკავკასიის სამშენებლო ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს ოსტატი, უბნის უფროსი. შემდეგ – წლების მანძილზე საქალაქო აღმასკომის კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველოს უფროსი. ამაყობს, რომ რუსთავში, მე-14-დან მე-19 მიკრორაიონების ჩათვლით აშენებული რვა და ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო „რუსთავი“, ასევე, საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო დაწესებულებების მშენებლობა და ხარისხი მისი მეთვალყურეობით ხორციელდებოდა.

ბატონი ომარი განსაკუთრებით იხსენებს და აუღელვებლად ვერ საუბრობს სასტუმრო „რუსთავის“ მშენებლობაზე. ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად ყოველდღიურად ადგილზე როგორ ეცნობოდა მშენებლობის მიმდინარეობას, ამოწმებდა ხარისხს და დღეს სასტუმროს შენობა რუსთავის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობა რომ არის, ეს მისი, ომარ არობელიძის დამსახურებაცაა. აქვე სამართლიან გაკვირვებასაც გამოთქვამს, რომ ამ უნიკალურ ნაგებობაზე არსად მითითებული არაა იმ ადამიანთა გვარ-სახელები, ვინც მის მშენებლობაზე თავი ისახელა. კარგი კი იქნებოდა!

ვინ არ იცნობს **გოგი (გიორგი) ბეგაძეს**, დამსახურებულ კაცს, რომელმაც ბეჯითი სწავლითა და შრომით დაწერა საკუთარი ბიოგრაფია: დაამთავრა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, იყო მშენებელი, შრომითი საქმიანობის პარალელურად სწავლობდა და დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ეკონომისტის განათლებით მუშაობა განაგრძო ვაჭრობის სფეროში, წლების მანძილზე იყო **25**-ე გაერთიანების უფროსი და ეს მხოლოდ მშრალი ციფრებია. ვინ დათვლის, ან როგორ დათვლის, რამდენ ადამიანს გაუწოდა დახმარების ხელი.

მარტო ეს? ბატონი გოგი წლებია, ხელმძღვანელობს რუსთაველ პენსიონერთა ორგანიზაციას. პენსიონერთა სახლში მისი ხელმძღვანელობით იმართება პენსიონერთა დაბადების დღეები, სამედიცინო კვლევები, ლიტერატურული შეხვედრები.

ეს ხანდაზმული, ღვაწლმოსილი ადამიანები თავიანთი ოჯახის წევრებს, მომავალ თაობებს უყვებიან ახალი რუსთავის ისტორიას, როგორ შენდებოდა და აშენდა ქალაქი ნაქალაქარზე, უყვებიან რუსთაველ პირველ მშენებლებზე, მეტალურგებზე, ქიმიკოსებზე, მათს შრომითს საქმიანობაზე, წარმატებებზე, ასევე, ეკუთვნით და კიდევაც მოძღვრავენ მათ, თუ როგორ უნდა უყვარდეთ თავიანთი პაპების მიერ აშენებული ქალაქი, როგორ უნდა გაუფრთხილდნენ მას, როგორ დაიცვან ძირძველი რუსთაველების მიერ დამკვიდრებული შრომითი და ცხოვრებისეული ტრადიციები.

არც მარტო ეს. ბატონები: **92** წლის გივი ჯახუა, **86** წლის ომარ არობელიძე და **81** წლის გოგი ბეგაძე, თავიანთი წარსულით რომ ამაყობენ, აწმყოშიც სამაგალითოდ ირჯებიან. მათ სურთ, რომ უფრო ლამაზი, მიმზიდველი იყოს მათი ნაღვაწი ქალაქი და ისიც სურთ, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში კვლავაც იყოს მათი შრომითი წვლილი. ამ მიზნით, ყოველ დილით, იაღლუჯის ფერდობს რომ სტუმრობენ, მის გამშვენიერებისთვისაც ზრუნავენ. დარგეს რამდენიმე ნაძვი, რომლებსაც უვლიან, საკუთარი ზურგითა და ხელებით ეზიდებიან წყალს და რწყავენ ნარგავებს. საშემოდგომო რგვის სეზონისთვისაც იჭერენ თადარიგს იაღლუჯის ფერდობზე ნაძვების დასარგავად და გასახარებლად. და მოუწოდებენ რუსთაველ ძველგაზრდებსაც და ახალგაზრდებსაც, მიბაძონ მათ: ყოველ დილით ავიდნენ იაღლუჯაზე, ივარჯიშონ, გაიკაჟონ ჯანმრთელობა. ასევე თავიანთი წვლილი შეიტანონ იაღლუჯის მთის გამწვანების სამუშაოებში, რაც მათ ბუნებისგან სიკეთით დაუბრუნდებათ...

ისინი ჯერჯერობით სამნი არიან: სამი მეგობარი, სამი თანამოაზრე, გულმხურვალე მოსიყვარულე ჩვენი ქვეყნის, ქალაქის, მისი აწმყოსი და მომავლის. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ ადამიანებს წლები ვერაფერს აკლებს, ისინი არ ეპუებიან ასაკს. მათი შემართება მისაბაძია, მოწოდება – მისაღები, ამიტომ იმედია, რუსთაველები გამოეხმაურებიან, მიბაძავენ, მხარს დაუჭერენ...

თინათინ სიყმაშვილი

თამარის როლზე ანჯელინა ჯოლი და სხვა ვარსკვლავებიც მოიაზრებოდნენ

ჰოლივუდის პროექტები დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე

*სტუ-ის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვაჟა შუბითიძე** გვიამბობს, თუ როგორ იგეგმებოდა ჰოლივუდის მიერ ფილმების გადაღება დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე...*

შემდეგ სოსო ჯაჭვლიანმა რომ დაგეგმა ორსერიიანი ფილმი დავით მეოთხეზე - მას ფილმი უნდა გადაეღო თემურ ბაბლუანთან ერთად.

- დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე ფილმის გადაღება ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში უნდოდათ პატრიოტ ქართველებს, მაგრამ ამას მოსკოვიდან ვინ დაუშვებდა. დამოუკიდებლობის შემდეგ, სამოქალაქო ომმა, გაჭირვებამ შეუშალა ამას ხელი, ფილმებისთვის აღარავის ეცალა.

– „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გააქტიურდა ამ თემაზე დისკუსია. დაიწყო ფიქრი სცენარის დასაწერად, გამოჩნდა დათო ტურაშვილის სცენარი დავით აღმაშენებელზე, ასევე ვასო კუკუნაშვილის სცენარი დავით მეოთხეზე, მისი რომანის „ჯვარი-პატიოსანის“ მიხედვით, რომლის მოცულობა ორასი გვერდია. მოკლედ, ამ ისტორიულ თემებზე ინტერესი გაჩნდა. ქართველების ისტორია საინტერესოა, რადგან ისინი მსოფლიოს დამპყრობლებს ებრძოდნენ, ამიტომაც დაინტერესდნენ ამით ჰოლივუდში, სადაც განზრახული იყო დავით აღმაშენებელზე **16**-სერიიანი ფილმის გადაღება, რომლის თითოეული სერია **20** მილიონ დოლარამდე ჯდებოდა. ეს ინფორმაცია მომაწოდა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა, საზღვაო ძალების ყოფილმა სარდალმა გოჩა ვეტრიაკოვმა, რომელიც საკაშვილის პრეზიდენტობის დროს იძულებული გახადეს, საქართველო დაეტოვებინა და რომელსაც ეს ინფორმაცია ცოტნე ბაკურიამ - ამერიკაში მცხოვრებმა ემიგრანტმა გაანდო...

სამწუხაროდ, მაშინ თანხა ვერ მოიძებნა. პარალელურად ჰოლივუდის პროდიუსერმა - ლეონიდ სენკოვსკიმ თამარ მეფეზე ორსერიიანი მხატვრული ფილმის გადაღებისთვის მზადება დაიწყო, დაიწერა სცენარი, გადაღება კი **120** მილიონი ჯდებოდა.

თამარის როლზე ანჯელინა ჯოლი, ასევე სხვა ვარსკვლავებიც მოიაზრებოდნენ. სცენარისთვის ანოტაცია მაშინ გუბაზ სანიკიძეს დაუწერია. საჭირო იყო ხუთი მილიონი დოლარი სცენარის დასახვეწად, ეთნოლოგიური მასალის და დეკორაციების მოსამზადებლად, მაგრამ ქართულმა მხარემ, მთავრობამ ეს თანხა არ გაიღო. ლეონიდ სენკოვსკი თბილისშიც კი იყო ჩამოსული, ყველას შეხვდა, მაგრამ ამაოდ. ამის სანაცვლოდ, სააკაშვილმა მათ შესთავაზა ფილმის გადაღება **2008** წლის აგვისტოს ომზე. ეს სამარცხვინო და უბადრუკი ფილმი **40** მილიონი დოლარი დაჯდა და ეს თანხა წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. მოგვიანებით ფილმის მთავარი როლის

შემსრულებელი - ენდი გარსიაც დასცინოდა ამ ყველაფერს **2013-2014** წლებში...

სოსო ჯაჭვლიანს მივეცი წასაკითხად ვასო კუკუნაშვილის რომანი დავით აღმაშენებელზე „ჯვარი-პატიოსანი“, რომელიც ძალიან მოეწონა...

კუკუნაშვილი მწერალი და მეცნიერია ნიჟნი-ნოვგოროდში, მას უკვე დაწერილი აქვს ძალიან საინტერესო პიესა „კრწანისი **1990**-იან წლებში“... საჭირო იყო რომანის სცენარად გადაკეთება, რაც არ გახლდათ რთული საქმე.

რომანში გადმოცემულია ეროვნული იდეოლოგია „დავითიზმი“, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებელმა ჯერ ღირსება აღუდგინა ქართველებს, მერე კი ძლიერი სახელმწიფო შეუქმნა, მძლავრი ეროვნული ფესვებით.

სოსო ჯაჭვლიანმა დაგეგმა ორსერიიანი ფილმის ეკონომიკური ბიუჯეტი, რომელიც **20** მილიონი ლარი, მაშინ - **6** მილიონი დოლარი ჯდებოდა. მას ფილმი უნდა გადაეღო თემურ ბაბლუანთან ერთად. მთავარ როლებში მოიაზრებოდნენ: გია ბურჯანაძე (დავით მეოთხე), თენგიზ არჩვაძე (გიორგი ჭყონდიდელი), კირა ანდრონიკაშვილი (დავითის მეორე მეუღლე - ყივჩაღთა მეფის ასული გურანდუხტი). ერთ-ერთ როლში სოსო თავადაც აპირებდა თამაშს. ფილმი საინტერესო გამოვიდოდა, მაგრამ ბიზნესმენებმა ფული არ გაიღეს და ეს იდეაც ჩაიშალა.

რაც შეეხება **16**-სერიიან ფილმს დავით აღმაშენებელზე, ეს იდეა ცოცხალია და მომავალი წლიდან შეიძლება მის განსახორციელებლად, ამჟამად ბიზნესმენმა, რომელიც ამერიკიდან საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს, აქტიური ქმედებები დაიწყოს...

დაველოდოთ მომავალ წელს, იმედია ეს იდეა იხილავს დღის შუქს...

მანანა გაბრიჭიძე

ერთიანი ცის ქვეშ

ხალხმრავლობა იგრძნობოდა რუსთავის ევანგელისტურ ეკლესიაში, უფრო ზუსტად კი მის მცირე საკონფერენციო სივრცეში, რომელიც ეკლესიის ხელმძღვანელმა გაიანე მელქონიანმა სტუმრებს უანგაროდ დაუთმო. თუმცა მომლოცველთა სიმრავლეს ამას ვერ დაარქმევდი, რადგან აქ მოსულ ადამიანებს უფრო სხვა, კერძოდ კი ლიტარატურის სიყვარული აერთანებდათ.

საქმე ისაა, რომ გამოიცა ყოველთვიური საერთაშორისო ჟურნალი „გალერეას“ მორიგი, 21-ე ნომერი, რომლის პრეზენტაციაც ამჯერად რუსთავში გაიმართა და სწორედ ეს გახდა ამ დღეს წიგნის მოყვარულთა შეკრების მიზეზი.

ჟურნალი „გალერეა“ პოპულარობით სარგებლოს ჩვენი ქვეყნის და მის გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემალუეებში. ავტორთა სპექტრიც ფართოა და ლამის ყველა კონტინენტზე მცხოვრებლებს აერთიანებს. მათ შორისაა ეკლესიის ხელმძღვანელი გაიანე მელქონიანიც, რომლის არაერთი პროზაული ნაწარმოები მკითხველის ყურადღებას იპყრობს.

ჟურნალის გამომცემელია რუსთაველი ქალბატონი დაილდა ლეთოდიანი, რომლის მონდომებით აგერ უკვე ორი წელია ხერხდება სხვადასხვა ქალაქებსა თუ ქვეყნებში მცხოვრები იმ თანამემულეების მოძიება და მათი, თითქოს სათავისოდ შექმნილი, ლიტერატურული ნაკვესების გამოცემა, რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხიმგებლო საქმეა.

ამიტომაა, რომ ჯერ არდაბეჭდილი ხალხური პროზის და პოეზიის ნიმუშები არამარტო ადვილად პოულობს გზას ჟურნალის ფურცლებზე, არამედ უცნაური მაგნიტიზმითაც იზიდავს კიდეც სულ ახალ და ახალ ავტორებს. ეს გასაგებიცაა, რამეთუ ლიტერატურის მოყვარულნი, ისევე როგორც ყველა მოკვდავი, ერთიანი ცის ქვეშ ვცხოვრობთ...

რაკი ერთხელ შეგიყვარე...

სამშობლოს, ოჯახის, თანამოძმეთა სიყვარულმა, დღევანდელობის ტკივილებმა ააღებინა ხელთ კალამი და თავისი გრძნობები ლექსად გამოათქმევინა რუსთაველ კაცს ლევან გველესიანს – მოქალაქეს, ოჯახის თავკაცს, მეუღლეს, სამი შვილის მამას. ჩვენს ხელთაა წიგნად აკინძული მისი ლექსები – „რაკი ერთხელ შეგიყვარე“... წიგნი სამშობლოს, დედის, მეუღლის, შვილების სიყვარულზე, ყველაზე, ვინც ღირსია სიყვარულის და ვინც ყველა ღირსეულ კაცს უნდა უყვარდეს.

წიგნს წამძღვარებული აქვს ლევანის მეუღლის, ლელა ბერიძე-გველესიანის სიტყვები: „ეს წიგნი სამადლობელია იმ დიდი სიყვარულისთვის, ადამიანობისთვის, გულწრფელობისა და სიკეთისათვის, რასაც ჩვენი თანაცხოვრების მანძილზე ვიღებთ. დაე, ჩვენი გრძნობა კაცობრიობისათვის კიდევ ერთ რიგით მაგალითად იქცეს. ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“ ქალბატონ ლელას სიტყვებს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თუ შეიძლება დავამატოთ: აი, მართლაც, ყველასთვის მისაბაძი სიყვარულის მაგალითი – ლელასა და ლევანის სიყვარული!

მაგრამ სიყვარული ერთდროულად ზოგადიცაა და კონკრეტულიც, უკიდეგანო და უსაზღვრო. საოცრად გულწრფელია მასწავლებლისადმი მიძღვნილი ლექსი (... მასწავლებელი არ დავლოცო ყველაზე მეტად?! /მასწავლებელი არ მიყვარდეს, არ შემიძლია!).

საყვარელ შვილებს: ნეას, გიოს, საბას ეძღვნება მამიკოს მამაშვილური სიყვარულით სავსე ლექსები.

დედის, მეუღლის, შვილებისადმი მიძღვნილი ლექსების შემდეგ, მამის წერილი შვილებს:

„ბოდიში, შვილებო, რომ მამების თაობამ ვერ აგარიდეთ თვალებში ჩამდგარი შიში...

რომ 2008 წელს, მაშინ, როცა ჩვენს სახლთან ტანკები ჩამოდგნენ, მე თქვენს გვერდით არ ვიყავი...

შენ, საბა, მაშინ უჩემოდ ჩახედე შიშს თვალებში და დედის ხელს ჩაჭიდებული მეძებდი...

მეც მეშინოდა და მაინც ქვეყნისთვის და შენთვის ვიდექი სადარაჯოზე...

მეშინოდა სიკვდილის მაშინაც, მებრძოლების სიაში ჩემი გვარი რომ მივაწერე...

უჩემოდ შენი დატოვების მეშინოდა...

მერე. მერე 12 წელი გავიდა და შენი ერთი სიცოცხლე სამად მექცა...

და დღეს უკვე სამი წყვილი შეშინებული თვალი უყურებს ახალ ტრაგედიას...

შეშინებული თვალები ხედავენ, როგორ კვდებიან დედები, მამები, შვილები და ვერავინ შველის...

და არც ახლა ვარ სამი შეშინებული გულის გვერდით...

ახლაც ჩემი ქვეყნისა და ჩემი ქალაქის უსაფრთხოებას ვიცავ.

...მიყვარხარ, გიორგი, შენი ათრთოლებული ხელის ჭირიმე, ძილის წინ პირჯვარს რომ იწერ და ჩემს ნასწავლ ყველა ლოცვას ბეჯითად იმეორებ.

„ალო, მა, როგორ ხარ, მშვიდობა გაქვს? ხომ არ დაიღალე. გიო და ნეა კარგად არიან. სახლში მოსვლას რომ მოახერხებ, საკმეველი წამოიღე. დღეს დილას ყველას რომ ეძინა, ჩვენთვის ვილოცე და ბოლო მაშინ დაიწვა. გაკოცე, მა, შენი საბა“.

ამ წიგნის სათაურია – „რა კი ერთხელ შეგიყვარე...“ მაგრამ მასში მოთავსებული ლექსები მხოლოდ პირადულ სიყვარულს არ ეძღვნება, ესეც არის ამ წიგნის ღირსება და ამიტომ გაიკვალავს გზას მკითხველის გულამდე.

წიგნის პათოსია: ლელა ბერიძე-გველესიანის მოწოდება: ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!, რაც ყურადსაღებია, გულთან მისატანი და გულითვე მარად სატარებელი და რაც დღეს ასე გვჭირდება ადამიანებს – ჩვენ, ქართველებს და არა მარტო, მთელ კაცობრიობას, ადამის მოდგმას!

წიგნის იდეის ავტორია ლელა ბერიძე-გველესიანი, რედაქტორი – თამარ კობახიძე, კორექტორი – მიხეილ სახვაძე, დიზაინი და ნახატები – მარიამ ელიზბარაშვილის, გარეკანის ნახატი ეკუთვნის გიორგი გველესიანს.

თინათინ სიყმაშვილი

განცხადებები, რეკლამა, განცხადებები

გაპატარა ზაფხული

ზრილად

ავტომანქანების კონდიციონერების შეკეთება და დატუმბვა

უმოკლეს დროში და მისაღებ ფასად!

ტელ: 551 56 12 12 გაგა

ვიბრეტ მატუალურას ძალულ ფასში

გაზეთი, რვეული, ჟურნალი, წიგნი, ფორმატის (ქსეროქსის) ქაღალდი

მისამართი: მესხიშვილის მე-2 გასასვლელის №4-თან (ავტოსადგომის ტერიტორია) 10-დან 19 სთ-მდე

ტელ: 579 808-818

ავეჯის და ნებისმიერი ტვირთის გადაზიდვა

საქართველოს ნებისმიერი მიმართულებით.

ტელ: 599 62 33 03

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

(დასასრული. დასაწყისი მე-5გვ.)

ბის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

სსიპ-იებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდეგი დაწესებულებების თანამშრომლები:

* რუსთავში რეგისტრირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
* ა(ა)იპ – ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება;
* ა(ა)იპ – რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ,,ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“;
* ა(ა)იპ – ,,გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“;
* ა(ა)იპ – ,,რუსთავის ისტორიული მუზეუმი“;
* ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,შეზღუდული შესაძ-ლებლობების მქონე პირთა ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“;
* ა(ა)იპ ,,რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“.
* ა(ა)იპ ,,რუსთავის კორპუსის” ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად, პირს უნდა ჰქონდეს ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

შშმ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ასევე აღნიშნული სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა ერთი მშობელი(დედა ან მამა), რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი) ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

სტუდენტთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე

ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები, რომელთაც აქვთ ქალაქ რუსთავის აქტიური რეგისტრაცია(რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, მოსარგებლე პირმა 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის განახლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურების დაფარვა

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ რუსთავში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ):

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები;

ბ) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების;

გ) 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების;

დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები.

პროგრამა ითვალისწინებს კომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვას წლიურად, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.

შპს „გაზეთი რუსთავი“
რუსთავი
დირექტორი
ლერი ბარათელი
რედაქტორი
თემურ კობახიძე
გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
599 233-390, 599 908-918
e-mail:gazetirustavi@gmail.com
მისამართი:
რუსთავი, მეგობრობის 32, სასტუმრო „რუსთავი“, მე-2 სართული